საქართველო
სახელმწიფო აუდიტის სამსახური

№ 07393/11

25/09/2017

შპს ,,ჯეოონო"-ს დირექტორს
ბატონ ონისე საბიაშვილს

სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და შპს ,,ჯეოონო"-ს შორის 2017 წლის 23 აგვისტოს გაფორმებული N43 ხელშეკრულების შესაბამისად 2017 წლის 7 სექტემბერს თქვენს მიერ მოწოდებული იქნა გაგრილების სისტემის კომპრესორი, კომპრესორის ნაწილები და შესრულებული იქნა თანმდევი სამონტაჟო მომსახურება.

გაცნობებთ, რომ ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის შესაბამისად შპს „ჯეოონო"-ს მიერ მოწოდებული საქონელი და გაწეული მომსახურება ხარვეზიანია და სრულად არ შეესაბამება 2017 წლის 23 აგვისტოს გაფორმებული N43 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წლის 23 აგვისტოს გაფორმებული N 43 ხელშეკრულების 13.2. და 13.3 პუნქტების შესაბამისად მოგმართავთ და ამავე ხელშეკრულების 5.1, 7.3 და 7.4 პუნქტების თანახმად გთხოვთ, 5 სამუშაო დღის ვადაში გამოასწოროთ ხარვეზი და მოწოდებული საქონელი, თანმდევი მომსახურებით მოიყვანოთ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ მოთხოვნებთან.

ასევე გაცნობებთ, რომ წერილში მითითებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ, თქვენი ორგანიზაციის მიმართ გამოყენებული იქნება 2017 წლის 23 აგვისტოს გაფორმებული N 43 ხელშეკრულებით და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

დანართი: ინსპექტირების დასკვნა ერთ ფურცლად.

ბაჩა მგელაძე
საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი

ქუთაისი, 4600, ირაკლი აბაშიძის ქ. N22 ტელ: (+99532)2438282 ფაქსი: (+99532)2438164
თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. N96 ტელ: (+99532)2438438 ფაქსი: (+99532)2438136
ბათუმი, 6000, შერიფ ხიმშიაშვილის ქ.N7 , იუსტიციის სახლი ტელ: (+99532)2438197 ფაქსი: (+99532)2438195

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების ისპექტირების ჯგუფის

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ.თბილისი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულბების შესრულების ინსპექტირების ჯგუფმა: ლოჯისტიკის სამსახურის ექსპერტის ზურაბ ბაღაშვილის (ჯგუფის ხელმძღვანელი), მთავარი სპეციალისტების გურამ ჯინჭარაძის, დავით გოგოლაძის დამხმარე მოსამსახურე ინჟინერი გრიგოლ ხელაძის შემადგენლობით, განახორციელა სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და შპს „ ჯეოონო“ -ს შორის 2017 წლის 23 აგვისტოს გაფორმებული N43 ხელშეკრულების ინსპექტირება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თბილისის ადმინისტრაციულ შენობის გაგრილების სისტემის კომპრესორის და კომპრესორის ნაწილების მოწოდებისა და თანმდევი სამონტაჟო მომსახურების გაწევის შესახებ, რის შედეგადაც გამოვლინდა შპს „ ჯეოონო“ -ს მიერ 2017 წლის 07 სექტემბერს მოწოდებული საქონელისა და გაწეული მომსახურების შედეგად გაგრილების დანადგარი არ მუშაობს გამართულად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინსპექტირების ჯგუფი თვლის რომ შპს „ ჯეოონო“ -ს მიერ მოწოდებული საქონელი და გაწეული მომსახურება ხარვეზიანია და სრულად არ შეესაბამება 2017 წლის 23 აგვისტოს გაფორმებული N43 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

/ზურაბ ბაღაშვილი /

/დავით გოგოლაძე/

/გურამ ჯინჭარაძე/

/გრიგოლ ხელაძე/